



MES 2 20 0000726172



25/08/2020

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**

**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გიორგი გიგობერია** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნატალია შანიძე** - შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი - საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე;
5. **მკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
6. **ირმა ბარბაქაძე** - შპს „ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
7. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;
8. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;
9. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის - თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;
10. **გრიგოლ მურღულია** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე;
11. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე;

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნინო ჟვანია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

### 3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

#### 1. სკოლა-ლიცეუმი ცისკარი

სკოლის დირექტორი - ნინო ჭოხონელიძე  
სკოლის დირექტორის მოადგილე - მაია რაჭველიშვილი

#### 2. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი

სკოლის დირექტორი - მარინა კაჭარავა

#### 3. შპს თანამედროვე განათლების აკადემია

სკოლის დირექტორი - დავით მალაზონია  
ხარისხის მართვის მენეჯერი - მარიკა კირვალიძე

#### 4. შპს იუჯი სკოლა

სკოლის აკადემიური დირექტორი - თეა ელერდაშვილი  
სკოლის იურისტი - გვანცა მანია

### 4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

#### სკოლა-ლიცეუმი ცისკარი

ნოდარ ანგურიძე  
მარინა სეხნიაშვილი

#### შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი

მაკა ტუკვაძე  
თეონა ყაჭეიშვილი

#### შპს თანამედროვე განათლების აკადემია

ქეთევან ბოტკოველი  
პეტრე ბაბილუა

#### შპს იუჯი სკოლა

ნინო გვარამაძე  
ციალა გაგნიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom - ის საშუალებით) 2020 წლის 11 აგვისტოს 15:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

- 1. შპს სკოლა-ლიცეუმ ცისკარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
- 2. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
- 3. შპს თანამედროვე განათლების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
- 4. შპს იუჯი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;**

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა, რომ შპს თანამედროვე განათლების აკადემიის ავტორიზაციის საკითხი განხილულიყო პირველ ნომრად. ასევე, ვინაიდან საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნული საკითხის განხილვის მომენტში წარმოდგენილი იყო სკოლის დირექტორის რანგში, ხოლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - როგორც მშობელი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, შპს თანამედროვე განათლების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვას წარუძღვა საბჭოს წევრი - გრიგოლ მურღულია.

გრიგოლ მურღულიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

### **1. შპს თანამედროვე განათლების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და პეტრე ბაბილუამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, აკადემიაში სასწავლო პროცესი მოიცავდა სამივე საფეხურს და გულისხმობდა თორმეტწლიან სწავლებას. სამივე საფეხურისთვის შექმნილი იყო საგნობრივი კათედრები, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვით, სწავლების პროცესის დინამიკაში ხედვით, ცდილობდნენ ყველა საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნების გათვალისწინებას. აკადემიაში სასწავლო პროცესს უზრუნველყოფდა ექვსი საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურისა კათედრა; დაწყებითი (I-IV) კლასების კათედრა; უცხოური ენების კათედრა; მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კათედრა; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა. კათედრებს ჰქონდათ გაწერილი სამუშაო წლიური გეგმები, რომელთა მიხედვითაც თითოეულ კათედრაზე ხორციელდებოდა ერთობლივი მიზნების შემუშავება და შედეგების მონიტორინგი. კათედრები ასევე უზრუნველყოფდნენ მასწავლებლების ურთიერთდასწრებას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, ერთობლივად განიხილავდნენ და გეგმავდნენ გაკვეთილებს, პროექტებსა და სხვადასხვა ღონისძიებას.

1.2. ექსპერტის თქმით, შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგების თანახმად, გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანი იყო ყველა მოსწავლე, მისი შესაძლებლობები, არსებული ცოდნა, უნარები და განვითარების პერსპექტივები. მოსწავლეებს ჰქონდათ სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობა. მაგალითად, მოსწავლეებს ეძლეოდათ არჩევანის საშუალება, რაც ხელს უწყობდა სწავლის პროცესს, იზრდებოდა ინტერესი სასწავლო პროცესისადმი და ჩართულობა, მასწავლებელი აკეთებდა სასწავლო მიზნებისა და ამოცანების ადაპტირებას მოსწავლეთა მზაობასა და გამოცდილებასთან, მასწავლებელი სხვადასხვა ხერხებით ეხმარებოდა მათ, დახმარების წილს თანდათან ამცირებდა და საბოლოოდ მოსწავლეები თავად ახერხებდნენ საქმისათვის თავის გართმევას და სხვა. მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებდნენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და მასზე დაყრდნობთ აგებდნენ ახალ გამოცდილებას. თითოეული მოსწავლის მზაობის გათვალისწინებით აკადემიის მასწავლებლები, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მუშაობდნენ მოსწავლეებთან გაკვეთილების შემდეგ. სწავლის სირთულის პრევენციისა და დროული მართვის მიზნით, აკადემიის ფსიქოლოგი, ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მენეჯერი მუდმივად ახდენდნენ მოსწავლეებზე დაკვირვებას, მათ შორის მასწავლებლებისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე. თუმცა, სასკოლო-სასწავლო გეგმაში გაწერილი იყო ინკლუზიური განათლების კონცეფცია და აკადემია, საჭიროების შემთხვევაში, მიჰყვებოდა კონცეფციაში გაწერილ პრინციპებს. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესაბამისად, 2020 წლის მარტის დასაწყისში აკადემიამ სასწავლო გეგმაში შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები და სასწავლო პროცესი დაგეგმა დისტანციური რეჟიმის შესაბამისად. თითოეული მოსწავლის საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებისა და შედეგის უკეთ მიღწევის მიზნით აკადემიამ გადაწყვიტა პირველივე დღიდან დისტანციური სწავლება განხორციელებულიყო როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული ფორმით. მასწავლებლები ონლაინ გაკვეთილებისთვის იყენებდნენ zoom-ის პლატფორმას, ხოლო ასინქრონული სწავლებისთვის-schoolbooks-ს და დახურულ ჯგუფებს facebook-ში, მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.3. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ ფაქტობრივი მისამართი იყო ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N37. დაწესებულების მფლობელობაში იყო 3624,00 კვ. მ-ზე განთავსებული შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 3771.20 კვ. მ. შენობა სამსართულიანი იყო, თუმცა ვიზუალურად გარეთა ფასადით მხოლოდ 2 სართული ჩანდა.

1.4. ექსპერტის თქმით, როგორც ვიზუალური დათვალიერების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დასტურდებოდა, აკადემიაში სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად 440 მოსწავლისთვის (ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 2015 წლის, 20 აგვისტოს ავტორიზაციის საბჭოს N19 გადაწყვეტილებით), გამოყოფილი იყო 25 საკლასო ოთახი, 1 ბიბლიოთეკა, 1 გენერალური დირექტორის კაბინეტი, 1 ფინანსური დირექტორის კაბინეტი, 1 აკადემიის დირექტორისა და 1 ბუღალტრის კაბინეტი, 2 ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოთახი, 1 სამასწავლებლო, 1 სპორტული დარბაზი, 2 გასახდელი, 1 სასადილო, 1 სამზარეულო და პროდუქტების მისაღები ოთახი. დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებდა ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიის, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიები და ფსიქოლოგის კაბინეტი.

1.5. დაწესებულების მფლობელობაში იყო მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული სხვადასხვა ზომის 440 მერხი და სკამი, მათ შორის 371 ინდივიდუალური მერხი და სკამი განთავსებული იყო საკლასო ოთახებში. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო ასევე მასწავლებლის მაგიდებით, კარადებით, თაროებით, სასკოლო დაფებით, ინტერაქციული დაფებით და შესაბამისი თვალსაჩინოებებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.6. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, საშტატო განრიგით და პირადი საქმეებით დასტურდებოდა, რომ აკადემიაში დასაქმებულ იყო 84 თანამშრომელი. მათ შორის: გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, კომერციული დირექტორი, აკადემიის დირექტორი, ბუღალტერი, ადმინისტრაციის უფროსი, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, 45 მასწავლებელი (პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა აკადემიის დირექტორი და ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი), 16 მასწავლებლის ასისტენტი, ფსიქოლოგი და ბიბლიოთეკარი, 17 ადმინისტრაციის თანამშრომელი (იურისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, IT სპეციალისტი, საქმეთა მმართველი, ტექნიკური მენეჯერი, ექიმი, დაცვის სამსახურის უფროსი, სამი დაცვის სამსახურის თანამშრომელი, ექვსი დამლაგებელი და მეეზოვე).

დღეის მდგომარეობით აკადემიაში ირიცხებოდა 294 მოსწავლე, შესაბამისად წარმოდგენილი ადამიანური რესურსი სრულად უზრუნველყოფდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

1.7. ექსპერტის თქმით, აკადემიის მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად. მასწავლებელთა განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს. პედაგოგის შერჩევის დროს აკადემია ითვალისწინებდა განათლების ხარისხს, პედაგოგიურ გამოცდილებას, კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. აკადემიაში მიღებული პირი ეცნობოდა აკადემიის შინაგანაწესს და შემდეგ ფორმდებოდა შრომითი ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 440 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს თანამედროვე განათლების აკადემიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თანამედროვე განათლების აკადემიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 440-ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ასევე დასძინა, რომ ავტორიზაციის უწყვეტობის მიზნითა და მოსწავლეთა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო **2020 წლის 11 აგვისტოდან**.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს თანამედროვე განათლების აკადემიას (ს/კ: 204861596) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 440-ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს **2020 წლის 11 აგვისტოდან**.

## **2. შპს სკოლა - ლიცეუმ ცისკარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და მარინა სეხნიაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნა სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტ ნოდარ ანგურიძის განცხადებით, შპს სკოლა-ლიცეუმ „ცისკარს“ გასული სასწავლო წლის SWOT ანალიზის საფუძველზე, შემუშავებული ჰქონდა 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შედგენილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე.

2.2. ექსპერტის თქმით, 2019-2020 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა შემუშავებული იყო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და ითვალისწინებდა მოსწავლის შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენას. განსაზღვრული იყო მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და პირობები, ნიშნის გამოანგარიშების წესი, კლასიდან კლასში, საფეხურიდან საფეხურზე გადაყვანის წესები, სემესტრული ნიშნის გამოყვანის წესები და სხვა.

2.3. მასწავლებელთა და კათედრის პორტფოლიოების დათვალიერებამ აჩვენა, რომ მასწავლებლები მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას ამოწმებდნენ შემაჯამებელი დავალებებით. შემაჯამებელი დავალებების სახეებიდან იყენებდნენ ტესტურ დავალებებს, ამოცანის ამოხსნას მათემატიკაში, ქიმიაში და ფიზიკაში. ტესტურ დავალებებში როგორც დახურული, ისე ღია დაბოლოებიანი დავალებები, აფასებდა მაღალ სააზროვნო უნარებსაც. თითოეული შემაჯამებელი დავალებისთვის მითითებული ჰქონდათ საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი შედეგი/შედეგები, მოცემული იყო შეფასების რუბრიკები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში იყო ზოგადი, არ იყო მითითებული შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები. შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს აკეთებდნენ სკოლის მიერ შემუშავებულ ერთიან ზოგად ფორმაში. შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ძირითადად ყურადღება გამახვილებული იყო კლასის საერთო პრობლემებზე და ზოგადი მითითებები იყო ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე, მაგრამ ადგილზე მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების გაცნობით ირკვეოდა, რომ მასწავლებლებს მოსწავლის თითოეულ ნაშრომზე გაკეთებული ჰქონდათ ვრცელი განმავითარებელი კომენტარი, რომელშიც ნათლად იყო გამოკვეთილი მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, თუმცა რეკომენდაციები სუსტი მხარის გამოსწორების გზების შესახებ ხშირად ზოგადი და ბუნდოვანი იყო.

2.4. მასწავლებლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ყოველი შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების შემდეგ ყველა მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავდა შედეგებს, ზეპირსიტყვიერად ეძლეოდა ყოველ მოსწავლეს უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს ინდივიდუალურად უტარდებოდა დამატებითი მეცადინეობები სუსტი მხარის გამოსწორების მიზნით, ხოლო კლასის საერთო პრობლემის დაძლევის მიზნით ტარდებოდა დამატებითი გაკვეთილები პრობლემის დაძლევაში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესზე მიმდინარე მონიტორინგისა და შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის შედეგების საფუძველზე გეგმავდნენ ცვლილებებს სასწავლო პროცესში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რაც შესაბამისობაში იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.5. ექსპერტ ნოდარ ანგურიძის განცხადებით, სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა N34-ში. იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სკოლა ფლობდა მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა ნაგებობებს. იჯარის ხელშეკრულება დადებული იყო 27.07.2011 წ. და მოქმედებდა 10 წლის ვადით. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ფიქსირდებოდა ოთხი შენობა-ნაგებობა. რეალურად ოთხიდან სამი შენობა N1 N2 და N3; ერთი მთლიანი კომპლექსი იყო, რომლებიც ერთმანეთთან იყო დაკავშირებული და სადაც მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. მეოთხე შენობა ცალკე მდგომი იყო და წარმოადგენდა სპორტულ დარბაზს. შენობათა საერთო ფართი იყო 1250 კვ.მ.

2.6. ექსპერტის თქმით, შენობებში იყო 14 საკლასო ოთახი (მათ შორის 1 სარეზერვო), კომპიუტერული კლასი, მუსიკალური სტუდია, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახი, ხელოვნების კაბინეტი, სამასწავლებლო, ქიმიისა და ფიზიკა-ბიოლოგიის ლაბორატორიები, ასევე, ოთახი თოჯინების თეატრის დეკორაციებისა და აქსესუარებისთვის, სატრაპეზო, დირექტორის კაბინეტი და სამდივნო. საკლასო ოთახებში და საწყობში განთავსებული იყო

მოსწავლის 260 ინდივიდუალური სასკოლო მერხი და სკამი. გარდა ამისა საწყობში იყო რესურსი (მერხებისა და სკამების კარკასები და დასაკრავი მასალა), რომ საჭიროების შემთხვევაში აიწყოს მერხები და სკამები. საკლასო ოთახებში გამოკრული იყო სხვადასხვა სახის სასწავლო რესურსი, პოსტერები, რუკები, მოსწავლეთა ნამუშევრები.

შესყიდვის დოკუმენტაციით სკოლას უდასტურდებოდა 280 მერხი და 300 სკამი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.7. ექსპერტ ნოდარ ანგურიძის განცხადებით, შპს სკოლა-ლიცეუმ "ცისაკარის" ადამიანური რესურსი სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი იყო. დაწესებულებაში 33 თანამშრომელი იყო. აქედან 24 პედაგოგი, 12 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი: დირექტორი, დირექტორის 2 მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მზარეული, 2 დამლაგებელი. ადმინისტრაციიდან 3 წარმომადგენელი - დირექტორის ორივე მოადგილე და ბუღალტერი მასწავლებლებიც იყვნენ. სკოლა-ლიცეუმ „ცისაკარის“ 23 პედაგოგიდან 21 ჩართული იყო „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“, მათ შორის 19 უფროსი მასწავლებელი და 2 პრაქტიკოსი იყო. სკოლას ჰყავდა, ასევე, 1 მოწვეული, რელიგიების ისტორიისა და კულტურის მასწავლებელი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა სასულიერო აკადემია, ხოლო ერთ ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელს არ ჰქონდა სტატუსი, თუმცა ჩაბარებული ჰქონდა საგნის გამოცდა, რაც დასტურდებოდა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობით, გარდა ამისა დირექციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასწავლებელი სწავლობდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 60 კრედიტიან პროგრამაზე, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი.

2.8. ექსპერტის თქმით, სკოლაში იყო დაცულობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მშობლებმა გასაუბრებისას განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეს დაცულობასა და მშვიდ მყუდრო გარემოს შესახებ. მშობლებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ სასკოლო ცხოვრებაში და რაიმე საერთო სასკოლო გადაწყვეტილების მიღებაში დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი.

ინტერვიურების პროცესში, პედაგოგებმა დაადასტურეს სკოლის მყუდრო, დაცული ატმოსფეროს შესახებ მშობლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, ისაუბრეს სკოლის ფორმალურ და არაფორმალურ განათლების მიზანდასახულობაზე, ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ ბევრ მოსწავლეს ისეთი შესაძლებლობები აღმოუჩინა სკოლამ, რომლის შესახებ თავად მშობელმაც არ იცოდა.

სკოლაში ხშირად ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელშიც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი იღებდა მონაწილეობას, რაც მათ საშუალებას აძლევდათ, გამოევიდნათ თავის შესაძლებლობების მაქსიმუმი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 255 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს სკოლა - ლიცეუმ ცისაკარის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე



დააყენა შპს სკოლა - ლიცეუმ ცისკარის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 255-ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ასევე დასძინა, რომ ავტორიზაციის უწყვეტობის მიზნითა და მოსწავლეთა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, შპს სკოლა - ლიცეუმ ცისკარის გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო **2020 წლის 11 აგვისტოდან**.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სკოლა - ლიცეუმ ცისკარს (ს/კ: 200275549) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 255-ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს **2020 წლის 11 აგვისტოდან**.

### **3. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და თეონა ყაჭიიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელმა წარმოადგინა 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შინაარსით და სტრუქტურით შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებული იყო მასწავლებლების/ კათედრების, დირექტორის მონაწილეობით და

დამტკიცებული იყო სასწავლებლის დირექტორის მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობა ხდებოდა სწავლის დაწყებიდან პირველივე კვირის განმავლობაში დამრიგებლების მიერ.

სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან, სასწავლებლის მისია გაზიარებული იყო სასკოლო საზოგადოების მიერ. ექსპერტების ვიზიტის დროს ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში სასკოლო საზოგადოების მთავარმა სამმა აქტორმა: მოსწავლეებმა, მოსწავლეთა მშობლებმა და მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს მისიის მთავარი ღირებულებები, ის მიზნები და შედეგები, რომლის მოღწევასაც აპირებდა სკოლა.

ექსპერტის თქმით, საქართველოში ახალი კორონა ვირუსით (SARS - CoV- 2) გამოწვეულ ინფექციის (COVID-19) პრევენციის მიზნით, ისევე როგორც საქართველოს ყველა სკოლაში, ა/წლის მარტში იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელშიც შეწყდა მოსწავლეების სწავლება პირისპირ კონტაქტით. ა/წლის მარტის დასაწყისშივე აღნიშნული დაწესებულება დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადავიდა. დისტანციურ რეჟიმისას სკოლა იყენებდა სოციალურ ქსელს Facebook. com-ს, სადაც დახურულ ჯგუფებში და მესენჯერის გამოყენებით ხდებოდა ურთიერთობა, ასევე გამოიყენებოდა Skype, Zoom და სხვა პლატფორმები. 2019-2020 სასწავლო წელი ისევე, როგორც საქართველოს ყველა მოსწავლემ, შპს იაკობ გოგებაშვილის სასწავლებლის მოსწავლეებმაც დისტანციურად დაასრულეს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N 55/5 ბრძანების საფუძველზე სასწავლებლის სასკოლო სასწავლო გეგმაში განხორციელდა ცვლილება შეფასებასთან მიმართებით, ინფორმაცია განთავსდა სკოლის ვებ-გვერდზე, სადაც ვკითხულობთ რომ, სკოლა ირჩევდა შეფასების ა) ვარიანტს, აგრეთვე განმარტებული იყო საგნის წლიური ქულის ამდლების წესი. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით 10 - მა მოსწავლემ გააკეთა განაცხადი აღნიშნულთან დაკავშირებით.

ამ ეტაპზე სასწავლებელი აქტიურად ემზადებოდა ახალი 2020-2021 სასწავლო წლის უსაფრთხოდ დაწყებისათვის.

აღსანიშნავია, რომ სკოლას ახალი სასწავლო წლისათვის შემუშავებული იყო 2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის პროექტის სამი ვარიანტი: ტრადიციული ანუ კონტაქტური, ჰიბრიდული (კონტაქტური + დისტანციური) და დისტანციური სწავლების რეჟიმი.

2020-2021 სასკოლო სასწავლო გეგმა შინაარსითა და სტრუქტურით შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმასა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.2 ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით, შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი,“ საიდენტიფიკაციო კოდი 200272034, მდებარეობდა, ქალაქ თბილისში, სოფელი კიკეთში, 26 მაისის ქუჩა № 13-ში. სკოლის მფლობელობაში იყო აღნიშნულ მისამართზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფართი 6380.00კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, რომელთა საერთო ფართი იყო - 5218 კ. მ. სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი იყო №1, №2 და №3 ოთხსართულიანი შენობები, ხოლო დანარჩენი დამხმარე ნაგებობები იყო. თითოეული სასწავლო კორპუსის ფართი-1464.64კვ.მ იყო.

სკოლას, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სარგებლობის უფლება ჰქონდა, სოფელი კიკეთი, 26 მაისის ქუჩა № 36-ზე არსებულ ფართებზე: ე. წ. პავლიონი ფართით-400კვ.მ, საცურაო აუზი ფართით-300კვ.მ და საჭიდაო დარბაზი ფართით-250კვ.მ, ასევე მიწის ნაკვეთზე მდებარე ჩოგბურთის მოედანი ფართით-630კვ.მ და ფეხბურთის მოედანი ფართით-1080 კვ. მ.

ექსპერტის განმარტებით, სამივე სასწავლო კორპუსი გარემონტებული იყო. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით: ასაკის შესაბამისი

ინდივიდუალური მერხებით და სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სასკოლო დაფებით და კარადებით. კლასებში მრავლად იყო სასწავლო რესურსები: პლაკატები, პოსტერები, და სხვადასხვა მიზნობრივი თვალსაჩინოებები.

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, 2019-2020 სასწავლო წელს საგაკვეთილო პროცესს მხოლოდ №2 და №3 კორპუსებში ახორციელებდნენ. №2 კორპუსი განკუთვნილი იყო დაწყებითი (I-IV) საფეხურის მოსწავლეთათვის, საკლასო ოთახები განთავსებული იყო მე-2 სართულზე, პირველ სართულზე იყო სკოლამდელი მოსამზადებელი კლასი, სადაც გასულ წელს სწავლობდა 5 მოსწავლე. №3 კორპუსში განთავსებული იყო დაწყებითი საფეხურის V-VI კლასები და საბაზო და საშუალო საფეხურის საკლასო ოთახები. ვიზიტის დროს №1 შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო ბიბლიოთეკა. სკოლის სამივე კორპუსში 22 საკლასო ოთახი იყო, აქედან მე-2 და მე-3 შენობაში იყო 14 საკლასო ოთახი. მე-3 კორპუსში იყო ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით, ასევე იყო კომპიუტერული კლასი. ხელოვნების კაბინეტში გამოფენილი იყო გაკვეთილზე შესრულებული ნამუშევრები. სამასწავლებლო ჰქონდა ორივე კორპუსს. ორივე შენობის. პირველ სართულზე იყო საგარდერობე ოთახი, ყველა სართულზე გამოყოფილი იყო სარეკრიაციო ზონა. ვიზუალური დათვალიერებით და შესყიდვის დოკუმენტაციის გაცნობით, სკოლის მფლობელობაში იყო 262 ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასკოლო დაფა-30.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.3. ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით, მართვის საინფორმაციო სისტემის e-school - ის მიხედვით სკოლაში ირიცხებოდა 140 მოსწავლე. სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სკოლაში იყო საჭირო რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე ადამიანური რესურსი. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენდა 81 თანამშრომელს, რომელთა შორის იყო 37მასწავლებელი. ადმინისტრაციულ სტრუქტურის წარმომადგენლები იყვნენ დირექტორი, ადმინისტრაციის მენეჯერი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საზოგადოების ურთიერთობის მმართველი, სასულიერო მიმართულების ხელმძღვანელი, აკადემიური მიმართულების ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერი, შრომითი მიმართულების ხელმძღვანელი, სპორტული მიმართულების ხელმძღვანელი, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი. ასევე სკოლის სამტატო ჩამონათვალში იყო: საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, ექიმი, სკოლის მოძღვარი (2), ბუღალტრული საქმის მწარმოებელი მმართველი, უსაფრთხოების (6) თანამშრომელი. ტექნიკური უზრუნველყოფის ხელმძღვანელს ჰყავდა თანამემწე და მასზე დელეგირებული იყო 7 მძღვარი, 3 დამლაგებელი. სპორტის მიმართულების სტრუქტურაში იყო: რაგბის 3 მწვრთნელი, კარატეს მწვრთნელი, ბალეტის ქორეოგრაფი, ფრენბურთის, ტანვარჯიშის, ცურვის (2) და ფეხბურთის მასწავლებელი; ასევე სკოლაში დასაქმებული იყო 5 წრის ხელმძღვანელი; მათი ფუნქციები გაწერილი იყო დებულებებში. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამებოდა საათობრივი ბადით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3.4. ექსპერტის თქმით, სკოლაში ფიზიკური გარემო აბსოლუტურად მოწესრიგებული იყო. ის დაცულობის და უსაფრთხოების გარანტიას იძლეოდა. ამის დასტური იყო: კაპიტალური ღობე, 24 საათიანი უსაფრთხოების ბრიგადის ტერიტორიის დაცვა, ვიდეო-კამერები ყველა პერიმეტრზე, შენობის მდგრადობა, სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა და სხვა.. მოსწავლეთა დღის რეჟიმიც იმდენად კომფორტულად იყო გაწერილი, რომ პასუხობდა ბავშვის სასურველ რეჟიმს (მოძრავი თამაში ცვლის პასიურს, კვებებს შორის დისტანცია დაცული იყო, მოძრავი თამაში არ იყო დაგეგმილი პირდაპირ წახემსების/კვებების შემდგომ): დღის რეჟიმით განსაზღვრული იყო: ტრანსპორტირება, დილის გამამხნეველი ვარჯიში, საუზმე, გაკვეთილები, სადილი, სახელობო აქტივობა, სპორტის წრეები, მსუბუქი ვახშამი, განტვირთვა, ტრანსპორტირება.

3.5.სკოლაში იყო ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობილი გარემო. მშობლებთან ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემო იყო. ერთერთმა მშობელმა ფოკუს-ჯგუფში ისაუბრა დაწყებითი კლასის მოსწავლეებისადმი უფროსკლასელების მზრუნველ დამოკიდებულებაზე.

ასევე, მოსწავლეები ხაზს უსვამდნენ სკოლის მიერ მოსწავლეთა მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას: ყველა მოსწავლის პიროვნული ღირსების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათი ძლიერი მხარეების აღიარებას. მოსწავლეებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მასწავლებლების თბილი და თანამშრომლობითი დამოკიდებულება.

სკოლის ღონისძიებების უმრავლესობა ტოლერანტული, ემპათიური ხასიათის იყო: მაგალითად, ჰოსპისის მხარდამჭერი პროექტი, კოჯრის ბიბლიოთეკის აღდგენის პროექტი, საქველმოქმედო გამოფენები და სხვა.. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლის შიგნით ან გარე პერიმეტრზე მოსწავლისადმი პატარა კონფლიქტშიც კი ერთვებოდა სკოლის დირექტორი, ინფორმირებული იყო მშობელი/მშობლები, ფსიქოლოგი უწყვედა დახმარებას და ა. შ. რათა დროულად მოგვარებულიყო პრობლემა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 260 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260-ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ასევე დასძინა, რომ ავტორიზაციის უწყვეტობის მიზნითა და მოსწავლეთა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო **2020 წლის 11 აგვისტოდან**.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელს (ს/კ: 200272034) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260-ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს **2020 წლის 11 აგვისტოდან**.

#### 4. შპს იუჯი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნინო გვარამამემ და ციალა გაგნიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნა სტანდარტების შესაბამისად.

4.1. ექსპერტმა ნინო გვარამამემ აღნიშნა, რომ მიმდინარე ვიზიტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვინაიდან დაწესებულებას მხოლოდ თბილისის ფილიალში სურდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა, ისინი დაწესებულებას განიხილავდნენ მხოლოდ თბილისში, კოსტავას ქუჩა N 77ა - ში, არსებული შენობის საფუძველზე, დაწესებულება განლაგებული იყო 7 სართულიან შენობაში საქართველოს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შენობა, რომელიც საერთო ფართობით იყო 4091.72კვ.მ, სკოლას აღებული ჰქონდა იჯარით. დაწესებულებაში 68 საკლასო ოთახი იყო, 745 მერხი და ამდენივე სკამი. სკოლას ჰქონდა სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია, გამწოვი კარადით. სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის იყო სათანადო გარემო, პანდუსი, ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილები პირველსა და მეხუთე სართულებზე.

დაწესებულებას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

თითოეული საკლასო ოთახისთვის გათვალისწინებული იყო თითო კომპიუტერი და თითო პროექტორი. სულ სკოლაში იყო 78 კომპიუტერი, 18 ტაბლეტი და 69 პროექტორი.

4.2. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა რომ შენობა დიდი ფართისა სასწავლებელში სრულადაა მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოება დაცული, ყველა სართულზე განლაგებულია ცეცხლმაქრი. თითოეულ მათგანზე აღნიშნულია დამუხტვის თარიღი და ვარგისიანობის ვადა. სკოლაში მუშაობს ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემა. სკოლას აქვს საავარიო გასასვლელი, კიბე, უსაფრთხოების კამერები განლაგებულია შენობის როგორც გარე ისე შიდა პერიმეტრზე ყველა სართულზე, რაც იძლევა მთელი ტერიტორიის მეთვალყურეობის შესაძლებლობას. სულ დაწესებულებაში იყო 56 კამერა.

დაწესებულებას ჰქონდა ერთწლიანი განვითარების გეგმა, რომელშიც წარმოდგენილი იყო SWOT ანალიზი, რომელიც იძლეოდა რისკების გათვლის საშუალებას სკოლის მართვის კუთხით. წარმოდგენილ გეგმაში დაწვრილებით იყო ჩაშლილი აქტივობები, როგორც საგანმანათლებლო, ასევე მატერიალური და ადამიანური რესურსების მართვის კუთხით. წარმოდგენილი ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმების აქტივობები თანხვედრაში იყო ერთმანეთთან და დაწესებულების რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმების დადებითად შეფასების შესაძლებლობას იძლეოდა. მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდაც სტრატეგიული გეგმის ნაწილი იყო აღნიშნა ნინო გვარამამემ.

4.3. რაც შეეხებოდა ადამიანური რესურსის ნაწილს, ისაუბრა ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ, მან აღნიშნა, რომ სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებდა 59 პედაგოგით და 67

ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალით. 2 IT მენეჯერით, ადმინისტრატორით, ბიბლიოთეკარით, 14 დამრიგებლით, ორი ბუღალტრით, სპეციალური მასწავლებლით, ფსიქოლოგით, რვა წრის ხელმძღვანელით, სკოლის ექიმით, მძღოლით, 10 დამლაგებლით, დაცვით. მათთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. 2020 წლის 6-7 ივლისის (ვიზიტის თარიღი) მდგომარეობით ხელშეკრულება 2020/2021 სასწავლო წლისთვის ჰქონდა სულ 26 პედაგოგს, რაც არ იქნებოდა საკმარისი 705 მოსწავლისთვის, ვიზიტის შემდეგ სკოლამ განაახლა ხელშეკრულებები (ვადით 01.09.2020-დან 01.09.2021-მდე) და წარუდგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. 2020 წლის სექტემბრიდან სკოლას ეყოლება 60 პედაგოგი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო პროცესს. მასწავლებლები ძირითადად შერჩეული იყვნენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, კვალიფიკაციათა შესაბამისობის შესწავლამ აჩვენა ერთი შემთხვევა, როცა „მე და საზოგადოებას“ ასწავლიდა ბიოლოგი (2019/2020 სასწავლო წელს). უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ წარმოადგინა 2020/2021 სასწავლო წლის საათობრივი დატვირთვის სამუშაო ვერსია, რომელშიც ეს დარღვევა გამოასწორა.

4.4. ასევე, შედგა შეხვედრა მასწავლებლებთან, ზოგიერთ კათედრის გამგესთან. მათ ისაუბრეს ერთმანეთის და სკოლის მხრიდან მხარდაჭერაზე. პროფესიული განვითარების შესაძლებლობაზე. გარდა ამისა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან ცნობილი გახდა მშობელთა ჩართულობის შესახებ კლასგარეშე ღონისძიებებში (მაგ. სპორტულ შეჯიბრებებში). შეხვედრა მოსწავლეებსა და მშობლებთან ვერ მოხერხდა არდადეგების გამო, აღნიშნა ექსპერტმა. ამის შემდგომ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რამდენით სურდათ მათ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა, რაზეც სკოლის წარმომადგენლებმა მოახსენეს საბჭოს, რომ მათ სურდათ 705 - მდე გაეზარდათ თბილისის ფილიალში მოსწავლეთა რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა ხომ არ ჰქონდათ კითხვები შპს იუჯი სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებმა განაცხადეს რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, თბილისის ფილიალში, შპს იუჯი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 705-ით განსაზღვრის საკითხი, რაც გულისხმობდა შპს იუჯი სკოლის ორივე ფილიალში, როგორც თბილისის, ასევე ბათუმის -მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის - 1105-ით განსაზღვრას. საბჭომ ასევე დასძინა, რომ შპს იუჯი სკოლის გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო **2020 წლის 11 აგვისტოდან.**

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მეშვიდე პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს იუჯი სკოლას (ს/კ:205258344), მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განესაზღვროს თბილისის ფილიალში 705-ით, ხოლო ბათუმის ფილიალში-400-ით, რაც საერთო ჯამში არის 1105 მოსწავლე. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს **2020 წლის 11 აგვისტოდან.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 17:10 საათზე დახურულად გამოცხადდა.

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
მალაზონია დავით



ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
შანიძე ნატალია

